ხობის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ50. 50231354**

თარიღი:**15/05/2023**

ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული საბჭოს წევრთა

შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტისა და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული საბჭოს წევრთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი, თანახმად №1 დანართისა.

ბ) კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმები, თანახმად №2 დანართისა.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3), კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით ბუკია

ხობის მუნიციპალიტეტის მერია-ხობის
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული საბჭოს წევრთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ეს წესი განსაზღვრავს ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული საბჭოს (შემდგომ - საბჭო) წევრთა შერჩევის მიზნით, კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებულ პროცედურებს და ვადებს, კონკურსანტთა შეფასების კრიტერიუმებს და კომპეტენციებს, კომისიის და კომისიის წევრთა უფლებამოსილებებს.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილეობა

1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 14-დან 29 წლის ჩათვლით ასაკის მქონე ახალგაზრდას (შემდგომ - კონკურსანტი), თუ ის აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ პირობებს.

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტმა უნდა შეავსოს ხობის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომ - მერია) ვებგვერდზე ან/და ფეისბუქის გვერდზე განთავსებული სარეგისტრაციო ბმული.

3. მერია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

მუხლი 3. კონკურსის ეტაპები

1. კონკურსის ეტაპებია:

ა) პირველი ეტაპი - კონკურსანტთა რეგისტრაცია;

ბ) მეორე ეტაპი - განაცხადების განხილვა კომისიური წესით.

2. კონკურსანტის მიერ წარდგენილი განაცხადი ეგზავნება მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს (შემდგომ - სამსახური), რომელიც:

ა) უზრუნველყოფს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის აღრიცხვას და დამუშავებას;

ბ) შემოსული განაცხადების შესწავლის პროცედურის გავლის შემდეგ ამზადებს მოხსენებით ბარათს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის სახელზე, განცხადების კომისიური წესით განხილვისთვის წარსადგენად/დასაშვებად და კომისიის თავმჯდომარის მხრიდან თანხმობის მიღების შემდეგ მასალებს წარუდგენს კომისიის წევრებს.

მუხლი 4. განცხადების მიღებისა და განხილვის ვადები

1. განცხადებების მიღება წარმოებს კონკურსის გამოცხადებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

2. შემოსული განცხადებები კომისიის მიერ განიხილება განცხადების მიღების დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 5. კომისია

1. საბჭოს წევრთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების მიზნით ხობის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომ - მერი) ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია (შემდგომ - კომისია).

2. კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს წინამდებარე დებულებით.

3. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

4. კომისია ანგარიშვალდებულია მერის წინაშე.

5. კომისიის გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი.

6. კომისია განიხილავს განცხადებებს, აკეთებს შეფასებებს, გამოავლენს/შეარჩევს საუკეთესო კანდიდატურებს და მერს წარუდგენს რეკომენდაციას.

7. კომისია უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც.

8. საჭიროებიდან გამომდინარე (საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე), კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, კომისიის სხდომა შეიძლება გადაიდოს (გონივრული ვადით).

მუხლი 6. კომისიის თავმჯდომარე

კომისიის თავმჯდომარე:

ა) უზრუნველყოფს კომისიის საერთო ხელმძღვანელობას, ანაწილებს ფუნქციებს და დავალებებს კომისიის წევრთა შორის. ასევე, უზრუნველყოფს სხვა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას;

ბ) კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებიდან, არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, მერს წარუდგენს მოხსენებით ბარათს განხილვის შედეგების შესახებ (ბრძანების პროექტთან ერთად).

მუხლი 7. კომისიის მდივანი:

კომისიის მდივანი:

ა) ახდენს კომისიის სხდომის ორგანიზებას, საოქმო ჩანაწერების უზრუნველყოფას და სხვა ორგანიზაციული საკითხების აღსრულებას;

ბ) კომისიას გააცნობს ინფორმაციას/ანოტაციას თითოეულ განაცხადთან/პროექტთან მიმართებაში;

გ) კომისიის წევრთა მიერ განხორციელებული შეფასების შედეგად დაგროვილი ქულების დაჯამებით, ახდენს საბოლოო შედეგების გამოვლენას;

დ) აფორმებს კომისიის გადაწყვეტილებას ოქმის სახით, კომისიის სხდომის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. ამასთან, აუცილებელია ოქმში დაფიქსირებული სიტყვით გამომსვლელ(ებ)ის ხელმოწერა, მის მიერ წარმოთქმული სიტყვის/ტექსტის სისწორის დადასტურებასთან მიმართებაში ან/და მის მიერ გადმოგზავნილი კომენტარ(ებ)ი, რომელიც ოქმს თან ერთვის;

ე) ამზადებს მოხსენებით ბარათს კონკურსის შედეგების დამტკიცებისა და შერჩეული კანდიდატურების თაობაზე (თანდართულ ბრძანების პროექტთან ერთად), მერისთვის წარსადგენად.

მუხლი 8. კომისიის წევრი:

1. კომისიის წევრი:

ა) შეისწავლის განაცხადს, ახდენს შეფასებას და წარადგენს/გამოთქვამს თავის მოსაზრებებს კომისიის სხდომაზე;

ბ) გადაწყვეტილებებს იღებს დამოუკიდებლად.

2. კომისიის თითოეული წევრის მიერ განხორციელებული შეფასებები კონფიდენციალურია და განკუთვნილია მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის.

მუხლი 9. შეფასების კრიტერიუმები

1. განცხადებების შერჩევა ხდება შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით.

2. განცხადებების შეფასება ხდება 1-10 ქულის ფარგლებში, კონკურსანტების შეფასების ცხრილში, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

მუხლი 10. გამარჯვებულის გამოვლენა

1. საბოლოო შედეგები განისაზღვრება, კომისიის წევრის მიერ, თითოეული კონკურსანტის შეფასების შედეგად დაგროვილი ქულების დაჯამებით.

2. რეკომენდაცია გაეწევა იმ კონკურსანტებს, რომლებიც ჯამურად მიიღებენ მაქსიმალურ ქულათა (50 ქულა) არანაკლებ 70 პროცენტს (35 ქულას და მეტს).

3. საბჭოს წევრთა რაოდენობას (არანაკლებ 10 წევრი) და სიით შემადგენლობას, ბრძანებით განსაზღვრავს/ამტკიცებს მერი.

მუხლი 11. შედეგების დამტკიცება

1. მერი, კომისიის რეკომენდაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, გამოსცემს ბრძანებას კონკურსის შედეგებისა და საბჭოს წევრთა რაოდენობისა და სიითი შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე.

2. მერის ბრძანების გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, ინფორმაცია კონკურსის შედეგების თაობაზე, განცხადებაში მითითებული საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით (სწრაფი რეაგირების მიზნით, ელფოსტით ან/და მობილურ ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით), ეცნობება საბჭოს არჩეულ/დამტკიცებულ წევრებს.

3. სამსახური, მერთან შეთანხმებით, იწვევს საბჭოს პირველ სხდომას და უზრუნველყოფს საორგანიზაციო საკითხების მომზადებას.

კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმები

კონკურსანტის შეფასება ხდება 1-10 ქულის ფარგლებში შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. პრეზენტაცია (საკუთარი თავის წარდგენა);
2. მოტივაცია (ფასდება კონკურსანტის სამოტივაციო წერილი);
3. აქტიურობა (CV / ფასდება - კონკურსანტის კვალიფიკაცია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საგანმანათლებლო, სპორტულ თუ სხვა ნებისმიერი მიმართულებით მიღწეული წარმატებები (ჯილდოები, სიგელები და სხვა), სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობა/ინიცირება, გამოცდილება და ა.შ.);
4. ზეპირი დავალება/სიტუაციური ამოცანა;
5. გასაუბრება.

კონკურსანტების შეფასება მეორე და მესამე პუნქტებთან მიმართებაში განხორციელდება სამოტივაციო წერილის და CV/ბიოგრაფიული მონაცემების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ხოლო პირველი, მეოთხე და მეხუთე პუნქტებთან მიმართებაში - უშუალოდ, კომისიის შეხვედრაზე, პირდაპირი კომუნიკაციის ფორმატში.

დანართი №2

კონკურსანტების შეფასების ცხრილი

№	კონკურსანტის სახელი, გვარი	მიღებული ქულები					
		პრეზენტაცია	მოტივაცია	აქტიურობა/ გამოცდილება	ზეპირი დავალება	გასაუბრება	სულ
1.							
2.							
3.							
4.							
5.							
6.							
7.							
8.							
9.							
10.							
11.							
12.							
13.							
14.							
15.							
16.							
17.							
18.							
19.							
20.							
21.							
22.							
23.							
24.							
25.							
26.							
27.							
28.							
29.							
30.							

კომისიის წევრი:
თარიღი: